„112"-ის ლექციები...

№9

ივნისი
2014

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, ნინო მიქაუტაძე, ნატალია გელაშვილი, სალომე გელუტაშვილი, ჰენრიეტა ელიაური, დავით ჭანტურია, შალვა კუხიანიძე

დიზაინი თეა კუპრაძე

112-ის დეპარტამენტი პოლიციელის დღეზე 83.4

112-მა დამოუკიდებლობის დღეს საკუთარი ყუთიდან წარმოადგინა 83.5

112-ის წარმომადგენლების ვიზიტი შვედეთში 83.6-7

ავსტრიის ოფიციალური დელეგაცია შინაგან საქმეთა სამინისტროსა და 112-ში 83.7-8

112-ს ლიტვის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ეწვია 83.9-10

აგოსტინო მიოცო სტუმრად 112-ში 83.11

112 და მომიჯნავე სამსახურები 83.12

112 „მომავლის ვარსკვლავები 2014"-ის მხარდამჭერია 83.13

83.14 შსს ხეების დარგვის აქციას - „მწვანე მომავალი" შეუერთდა

83.15 112-ის დირექტორი გიორგი ბიჭაშვილი სტუმრად გადაცემაში „ანონის ფარგლებში"

83.16 დელის პოლიციის დეპარტამენტი ზარებზე რეაგირების დროს ამცირებს

83.17 კანბერას (ავსტრალია) საგანგებო სიტუაციების სამსახური ნდობის ამაღლებას ცდილობს

83.18-19 ოპერატორის დღიური

83.20 სხვა ყუთიდან დანახული 112-ელები

83.21 ეს საინტერესოა

83.22 უცნაური და სასაცილო საგზაო ნიშნები

83.23-24 რატომ უნდა ავიღოთ შვებულება და დავისვენოთ

83.25 ფოტოკონკურსი, მილოცვები

112-ის დეპარტამენტი პოლიციელის დღეზე

შინაგან საქმეთა სამინისტრომ პოლიციელის პროფესიული დღე, 2014 წლის 30 მაისს, ბათუმში აღნიშნა. გამოფენაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფებთან ერთად, წარმოდგენილი იყო 112-ის დეპარტამენტიც, რომელმაც მოქალაქეებს წარუდგინა ანიმაციური ვიდეორგოლი, ინოვაციურ პროექტებთან დაკავშირებით, GPS ტრეკერები, რომელიც განკუთვნილია საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ტურისტებისთვის, 112-ის მაკეტი, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოადგენს შენობას და სხვადასხვა პრომო მასალა. ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა სტუმრებთან ერთად დაათვალიერეს საგამოფენო სივრცე. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ: საქართველოს მთავრობის წევრები, პარლამენტის თავმჯდომარე, პარლამენტის წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და ოფიციალური დელეგაციები პარტნიორი ქვეყნებიდან: ბელარუსიდან, ლატვიიდან, სომხეთიდან და თურქეთიდან.



112-მა დამოუკიდებლობის დღეს საკუთარი კუთხე წარმოადგინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტმა, 2014 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფებთან ერთად, ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის გამოფენა მოაწყო.

გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრმა წარმოადგინა „GPS ტრეკერი“, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ტურისტებს დაეხმარება. „GPS ტრეკერი“, სატელიტური სისტემის საშუალებით, ტურისტის ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრას უზრუნველყოფს და განგაშის (ე.წ. „SOS“) სიგნალს ცენტრში აგზავნის. აღნიშნული კი, გადაუდებელ შემთხვევებზე ოპერატიულ რეაგირებას უზრუნველყოფს.

112-ის წარმომადგენლების ვიზიტი შვედეთში

2014 წლის 20-22 მაისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტის წარმომადგენლები შვედეთში, ქალაქ გეტებორგში, „ევროპის საზოგადოებრივი უსაფრთხოების ფორუმის“ – PSCE-ის მიერ ორგანიზებულ კონფერენციას დაესწრნენ.

აღნიშნული კონფერენციის ძირითად თემებს გადაუდებელი დახმარების მართვის სფეროში მომიჯნავე უწყებების კოორდინაცია, 112-ის რესურსების მართვა და ინ-ფორმაციის დამუშავების პროცესში არსებული ინოვაციური მიდგომების დანერგვა, ასევე CRISMA პროექტის ფარგლებში კრიზისების მართვის მოდელირება წარმოადგენდა.

112-ის წარმომადგენლებმა კონფერენციის მონაწილეებს, პრეზენტაციის სახით, მია-წოდეს ინფორმაცია საქართველოში 112-ის ფუნქციონირების და დაგეგმილი სია-ხლეების შესახებ.

„ევროპის საზოგადოებრივი უსაფრთხოების ფორუმის“ კონფერენციაში ქართული მხარის მონაწილეობა მნიშვნელოვანია, რადგან PSCE ხელს უწყობს წევრების საერ-თო ხედვების განსაზღვრას, შესაბამისი კავშირების დამყარებას ევროპისა და საერ-თაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რათა მოხდეს გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

ვიზიტის ფარგლებში, 112-ის წარმომადგენლებმა, ქალაქ გეტებორგში არსებული ქოლცენტრი დაათვალიერეს და ადგილზე გაეცნენ გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის მუშაობის სპეციფიკას.

„ევროპის საზოგადოებრივი უსაფრთხოების ფორუმი“ - PSCE მუდმივმოქმედი, დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომლის მისია საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ინფორმაციის მართვის სისტემების გაუმჯობესება და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფაა კრიზისული, თუ საგანგებო სიტუაციების დროს.

საქართველოს 112 აღნიშნული ორგანიზაციის ინსტიტუციური წევრი 2013 წელს გახდა, რაც მნიშვნელოვანია გადაუდებლი დახმარების მართვის სფეროში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების კუთხით.

ავსტრიის ოფიციალური დელეგაცია შინაგან საქმეთა სამინისტროსა და 112-ში

ალექსანდრე ჭიკაიძე

ფრანც ლანგი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვიზიტით, 2014 წლის 20 მაისს, ავსტრიის დელეგაცია ეწვია, რომელსაც კრიმინალთან ბრძოლის ფედერალური სამსახურის უფროსი, გენერალი ფრანც ლანგი, ხელმძღვანელობდა.

გაიმართა დელეგაციის წევრების შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრ, ალექსანდრე ჭიკაიძესთან და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელ პირებთან.

შეხვედრაზე მხარეებმა სამართალდაცვის სფეროში საერთაშორისო კოორდი-

ნაციის პროექტის (ILECU) საქართველოში განხორციელების დეტალები განიხილეს, რომლის იმპლემენტაციის პროცესს აქტიურად უჭერს მხარს ავსტრიული მხარე. შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო სახელმწიფო უსაფრთხოების, დანაშაულთან ბრძოლისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

შინაგან საქმეთა მინისტრთან შეხვედრის შემდეგ, ავსტრიის ფედერალური კანცელარიის უფროსი, გენერალი ფრანც ლანგი, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ 112-ს ესტუმრა და ცენტრის დირექტორს, გიორგი ბიჭაშვილს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა 112-ის მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ რეფორმებზე ისაუბრეს. ავსტრიის ფედერალური კანცელარიის უფროსმა და დელეგაციის წევრებმა საქართველოში მოქმედი გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის და 112-ის ერთიანი ელექტრონული სისტემის – ERC-ის (Emergency Response Center) ფუნქციონირების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს, ოპერატიული მართვის ცენტრი დაათვალიერეს, ოპერატორებისა და დისპეტჩერების მუშაობის პროცესს ადგილზე გაეცნენ.

ავსტრიის ფედერალური კანცელარიის უფროსის, გენერალ ფრანც ლანგის 112-ში ვიზიტის მიზანი საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის განვითარება და გამოცდილების გაზიარება იყო.

112-ს ლიტვის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ეწვია

შსს-ს 112-ის დეპარტამენტს, 2014 წლის 16 მაისს, ლიტვის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო და სამაშველო დეპარტამენტის დირექტორი, რემიგიუს ბანიულისი, ესტუმრა.

112-ის დირექტორმა, გიორგი ბიჭაშვილმა, სტუმრებს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი დაათვალიერებინა და ქოლ-ცენტრის მუშაობის სპეციფიკა გააცნო. 112-ის წარმომადგენლებმა დელეგაციის წევრებს, პრეზენტაციის სახით, ბოლო ორი წლის განმავლობაში, ცენტრში განხორციელებული ცვლილებები და სამომავლო გეგმები გააცნეს.

ლიტვის სახანძრო და სამაშველო დეპარტამენტის დირექტორი 112-ის ერთიანი ელექტრონული სისტემის – ERC-ის (Emergency Response Center) მუშაობით დაინტერესდა. რემიგიუს ბანიულისმა აღნიშნა, რომ ზარის მიღების პროგრამულად ასახვა, როგორც ოპერატორთან, ასევე დისპეტჩერთან, სამუშაო პროცესს უფრო ეფექტურს

ხდის და ამ მიმართულებით ისინი საქართველოს გამოცდილებას გაიზიარებენ.

შეხვედრას ლიტვის სახანძრო-სამეთვალყურეო სახელმწიფო საბჭოს უფროს, აუდრიუს ჩიუპლისს, ქალაქ ტაურაგას სახანძრო და სამაშველო საბჭოს უფროს, მინდაუგას მიკუტავიჩიუსთან ერთად საქართველოს შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის დირექტორი, ზვიად ქაწაშვილი ესწრებოდა.

ვიზიტის დასასრულს, 112-ის დირექტორმა დელეგაციის წევრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.



EMERGENCY RESPONSE CENTRE
LITHUANIA

აგოსტინო მიოცო სტუმრად 112-ში

შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ 112-ს, 2014 წლის 7 მაისს, ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის კრიზისებზე რეაგირების დეპარტამენტის აღმასრულებელი დირექტორი, აგოსტინო მიოცო, ესტუმრა. სტუმარს 112-ის დირექტორი, გიორგი ბიჭაშვილი შეხვდა.

დელეგაციის წევრებმა გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი დაათვალიერეს, გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ და 112-ის მუშაობა დადებითად შეაფასეს. შეხვედრაზე მხარეებმა 112-ის მიერ განხორციელებულ ცვლილებებსა დაგეგმილი რეფორმებზე ისაუბრეს. განიხილეს ევროკავშირის კრიზისული სიტუაციების დაძლევისა და ოპერაციული კოორდინაციის დეპარტამენტთან თანამშრომლობის საკითხები. ასევე ისაუბრეს ევროკავშირის კრიზისული სიტუაციების დაძლევისა და ოპერაციული კოორდინაციის დეპარტამენტის უმნიშვნელოვანეს როლზე უსაფრთხოების პოლიტიკაში, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიოს მონიტორინგს და არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმირებას 24 საათის განმავლობაში. ვიზიტის დასასრულს 112-ის დირექტორმა, გიორგი ბიჭაშვილმა დელეგაციის წევრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

სასწრაფო სამედიცინო დახმარება - გუნდური მუშაობა

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმებმა გუნდური მუშაობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. მათ აღნიშნეს, რომ მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია, გესმოდეს მეწყვილის და ბოლომდე ენდობოდე მას. ექიმებმა ერთად გადატანილი სირთულეები და მძიმე შემთხვევები გაიხსენეს, რომელიც წარმატებით დასრულდა.

ნინო ჭენჭაძე: 12 წელია სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრში ვმუშაობ. 6 წელია უკვე ჩემს მეწყვილესთან ერთად, ია იმნაიშვილთან, ერთ ბრიგადაში ვარ, ერთად გადაგვაქვს სტრესიც და სიხარულიც. ჩვენ ვენდობით ერთმანეთს და მუშაობის პროცესში კომფორტულად ვგრძნობთ თავს.

ია იმნაიშვილი: მე და ნინო ერთად ვატარებთ მორიგეობის 24 საათს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მეწყვილეებს ერთმანეთის უსიტყვოდ ესმოდეთ. ხშირია შემთხვევები, როდესაც შენი მეწყვილე გამოხედვით უნდა მიხვდეს, თუ რისი გაკეთებაა საჭირო. რთულ სიტუაციებში მძღოლის პროფესიონალიზმზეც ბევრი რამე არის დამოკიდებული.

112 „მომავლის ვარსკვლავები 2014"-ის მხარდამჭერია

შსს 112-ის დეპარტამენტი კლასიკური მუსიკის (ხელოვნების) საერთაშორისო ფესტივალის - „მომავლის ვარსკვლავები 2014"-ის მხარდამჭერია.

გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი მეორე წელია ხელოვნების ფესტივალის მხარდამჭერია და მიესალმება ახალგაზრდა თაობის შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენას.

11-12 მაისს, „მომავლის ვარსკვლავები 2014"-ის დაჯილდოების ცერემონია გაიმართა და მონაწილეებს სამახსოვრო საჩუქრები 112-ის წარმომადგენლებმაც გადასცეს.

შს სამინისტრო ხეების დარგვის აქციას - „მწვანე მომავალი" შეუერთდა

შინაგან საქმეთა სამინისტრო პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივას შეუერთდა და გამწვანების აქციაში - „მწვანე მომავალი" მონაწილეობა მიიღო. აქცია ქალაქ დუშეთში გაიმართა. შინაგან საქმეთა მინისტრმა, ალექსანდრე ჭიკაიძემ და შსს-ს სხვადასხვა დანაყოფის 300 თანამშრომელმა, გამწვანების აქციის ფარგლებში 1000 ნერგი დარგეს.

პრემიერ-მინისტრ, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, ხეების დარგვის აქცია „მწვანე მომავალი" მთელი საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობს. პროექტის მიზანი საქართველოში გამწვანების პროცესის ხელშეწყობა და ჯანსაღი გარემოს პოპულარიზაციაა.

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული გამწვანების პროგრამის მიხედვით, ქვეყნის მასშტაბით 1 000 000 ნერგი დაირგვება.

112-ის დირექტორი გიორგი ბიჭაშვილი სტუმრად გადაცემაში „კანონის ფარგლებში"

გადაცემას „კანონის ფარგლებში", 2014 წლის 14 მაისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტის დირექტორი, ბატონი გიორგი ბიჭაშვილი, ესტუმრა.

გადაცემის მთავარი თემები იყო, თუ როდის და როგორ უნდა დავრეკოთ 112-ზე, როდის არ უნდა განვახორციელოთ ზარი გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში, რა სახის ჯარიმებია გათვალისწინებული არამიზნობრივი ან ცრუ ზარების განხორციელების შემთხვევაში, რამდენ წუთში ხდება 112-ში შემოსული ინფორმაციის გადაცემა შესაბამისი სამსახურებისათვის და რა შეიძლება იყოს სასწრაფოს ბრიგადის დაგვიანების მიზეზი, რამდენი ზარი შედის ცენტრში 24 საათის განმავლობაში და რას ნიშნავს მაღალი და დაბალ პრიორიტეტული გამოძახება, როდის ამოქმედდება ევაკუატორებით დახმარების სერვისი და რას ნიშნავს SOS ღილაკი.

გადაცემის აუდიო ვერსიის მოსმენა შეგიძლიათ: www.avtoradio.ge





დელის პოლიციის დეპარტამენტი ზარებზე რეაგირების დროს ამცირებს

დელის პოლიციის ცენტრალურ ქოლ-ცენტრში, რომლის ნომერია - 100, ყოველდღიურად 25 000 ათასი ზარი შემოდის, აქედან 5000-7000-ზე აუცილებელია პოლიციის ბრიგადის გაგზავნა. პოლიციის დეპარტამენტი ყველა ძალას ხმარობს, რათა რეაგირების დრო მინიმუმამდე შემცირდეს. ამისათვის პოლიციის ავტომობილების რაოდენობა გაიზარდა 791 ერთეულამდე, თუმცა მათ ეკისრებათ არა მხოლოდ გამოძახებებზე გასვლა, არამედ VIP პერსონების დაცვა და ქუჩებში დანაშაულის პრევენცია.

ბოლო დრომდე, ასევე პრობლემური იყო პოლიციის ცენტრალურ ქოლ-ცენტრსა და პოლიციის რეგიონალურ სადგურებთან კომუნიკაცია. პოლიციის 11 ოლქში დაინერგა პილოტური პროექტი, რომელმაც უნდა მოაგვაროს კომუნიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები.

ამჟამად, არსებული სისტემის მიხედვით 100-ზე შემოსულ ზარს პასუხობს პოლიციის ქოლ-ცენტრის ოპერატორი, რომელიც დელის პოლიციის სათაო ოფისში იმყოფება. ის ავსებს ელექტრონულ ფორმას და უგზავნის მას დისპეტჩერს, რომელიც ასევე პოლიციის სათაო ოფისში იმყოფება. ის თავის მხრივ GPS სისტემის მეშვეობით პოულობს ინცინდენტთან მყოფ უახლოეს ბრიგადას და უგზავნის მას შეტყობინებას.

ახალი პილოტური სისტემის მიხედვით შესაძლებელი ხდება ინტერაქტიული კომუნიკაცია ოპერატორებს, დისპეტჩერებს, ბრიგადებს და რეგინალური პოლიციის ოფისებს შორის. ასევე აღნიშნულ სამუშაო სქემას ემატება 24 საათიანი თვალთვალის კამერები. დელის პოლიციის მოხელეები იმედოვნებენ, რომ ახალი სისტემა მკვეთრად გააუმჯობესებს შემოსულ ზარებზე რეაგირების ოპერატიულობის ხარისხს.

წყარო: www.thehindu.com

ჯანბერას (ავსტრალია) საგანგებო სიტუაციების სამსახური ნდობის ამაღლებას ცდილობს

საგანგებო სიტუაციების კომისარმა, დომენიკ ლაინმა, უარყო ბრალდებები მეხანძრეთა ბრიგადის წევრების მიერ სამუშაო ადგილზე პორნოგაფიული მასალების გამოყენების შესახებ.

1960 წლის შემდეგ, არსებობდა მეხანძრეების მხრიდან სექსულური ძალადობის ორი შემთხვევა, მაგრამ მას შემდეგ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა უკეთესობისაკენ და დღესდღეობით სახანძრო სამსახურის ყველა თანამშრომელი ზედმიწევნით და მაღალი პროფესიონალიზმით ეკიდება საკუთარ ვალდებულებებს.

კომისარის განცხადებით სახანძრო სამსახურის იმიჯის გასაუმჯობესებლად შეიმუშავეს სპეციალური პროგრამა, რომლის მიხედვითაც სურთ სამსახურში მიიზიდონ ქალბატონები, რათა მათ მამაკაცებთან ერთად მიიღონ მონაწილეობა დაზარალებულების სიცოცხლის გადასარჩენად.

გენდერული ბალანსის გაუმჯობესების გზით შესაძლებელი იქნება სახანძრო სამსახურის მიმართ ნდობის ამაღლება. ქალბატონების მეხანძრეებად მომზადებას რამდენიმე წელი დასჭირდება, მაგრამ საგანგებო სიტუაციების მინისტრის, საიმონ კორბელის განცხადებით სპეციალიზირებული ტრენინგ კოლეჯის მთავარი მიზანი ქალბატონების მომზადება და მათი მოტივაციის ამაღლება იქნება.

წყარო: www.canberratimes.com.au

არამიზნობრივი ზარები...

სუზი ბრენტს, საავტორო წიგნში ბევრი საინტერესო, უცნაური შემთხვევა უწერია. შემდეგი თავი სწორედ იმ შემთხვევას დაეთმო, როცა გადაუდებელი დახმარების ცენტრში არამიზნობრივად რეკავენ.

„კარგი დღე“

13 აგვისტო, 2005

სუზი ბრენტი: სამუშაო პროცესში, ოპერატორს ხშირად უწევს არამიზნობრივ და უცნაურ ზარებთან გამკლავება.

2005 წლის 13 აგვისტოს, შემოვიდა ზარი, ქალბატონი ძალიან დაბალ ხმაზე საუბრობდა. ჩვენ შორის გაიმართა დიალოგი:

ის: გამარჯობა, უკაცრავად რომ გაწუხებთ, მაგრამ არ შემეძლო არ დამერეკა. მე ვფიქრობ, რომ მჭირდება, ვიღაც, რომელიც დამარწმუნებს, რომ კარგად ვგრძნობ თავს.

მე: გასაგებია ქალბატონო, რა გჭირთ? ავად ხართ?გტკივათ რამე?

ის: არა, მე მაქვს ფსიქიკური პრობლემა.

მე: რას გულისხმობთ? დეპრესიაში ხართ? ჩვენ შეგვიძლია გამოვგზავნოთ სასწრაფო-სამედიცინო დახმარება, რათა დავრწმუნდეთ, რომ ყველაფერი წესრიგშია.

ის: არა, მე არ მინდა სასწრაფო-სამედიცინო დახმარება.

მე: მაშინ რატომ რეკავთ?

ის: უბრალოდ მინდოდა ვინმესთან საუბარი.

მე: რას ფიქრობთ სამარიტელებზე? მათ ნამდვილად შეუძლიათ გესაუბრონ და დაგეხმარონ, რომ მარტოსულად და მოწყენილად არ იგრძნოთ თავი.

ის: მე დღეს ძალიან კარგი დღე მქონდა, (ტირილი დაიწყო) და უბრალოდ მინდოდა ვინმესთან საუბარი. არც თუ ისე ხშირად მაქვს კარგი დღეები, მე მჭირდებოდა ვინმეს ეთქვა, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

საქართველოს 112-შიც, არ არის უცხო მსგავსი ტიპის ზარები, როცა არამიზ-ნობრივად, გართობის მიზნით რეკავენ, აცდენენ ოპერატორს და აკავებენ ხაზს.

ლელა ბიაშვილი - 112-ის ზარის მიმღები: დღის განმავლობაში 112-ში შემოდის არამიზნობრივი ზარები, მაგალითად, რეკავენ მოხუცები, რომლებიც მარტო ცხოვრობენ და კითხულობენ რომელი საათია. ხშირია, როცა ფსიქიური პრობლე-მები აქვს მოქალაქეს და დღეში რამდენჯერმე რეკავს, სხვადასხვა მიზეზით.

ყველას მოვუწოდებ, რომ თუ არ აქვთ ამის საჭიროება, ნუ დარეკავენ 112-ში, რადგან შესაძლოა სწორედ იმ კონკრეტულ მომენტში წამები იყოს გადამწყვეტი...

ირინა გელაზარიშვილი

შსს სსიპ 112-ის დისპეტჩერი

47 წლის

ირინამ, ჯერ კიდევ სკოლის პერიოდის დროს აღმოაჩინა საყვარელი ჰობი. ის არა-ჩვეულებრივად ქსოვს, კერავს, ქარგავს, აკეთებს დეკორატიულ ნივთებს, მობილურის და პარფიუმერიის ჩასადებ ჩანთებს და ა.შ. კერვა, ჯერ კიდევ პატარა ასაკში დედამ შეასწავლა. რამდენიმე წლის წინ, იღებდა შეკვეთებს და ამით მისი შემოქმედების რეალიზაციას ახდენდა.

დღეს, ის 112-ის დისპეტჩერია, დატვირთული და საპასუხისმგებლო საქმიანობის პარალელურად, ირინა თავისუფალ დროს საყვარელ საქმიანობას უთმობს.



ბოლო წლებში, დუბაი შუა აღმოსავლეთის ულამაზეს და უმდიდრეს ქალაქად გადაიქცა, ტურისტების და ბიზნესმენების ჩამსვლელთა რაოდენობა გაიზარდა. მათ, რა თქმა უნდა დაცვა სჭირდებათ. ადგილობრივ პოლიციის დეპარტამენტსაც საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად შესაბამისი აღჭურვილობა ესაჭიროებოდა. სწორედ ამიტომ, პოლიციის ავტოპარკი განახლდა. ავტომობილების უმეტესობას წარმოადგენს, ბუგატი, ვაირონის მარკის სპორტული ავტომობილი რომლის ღირებულება 1 მილიონ აშშ დოლარს აღწევს. ავტოპარკში ასევე იხილავთ ფერარის, ლამბორგინის, მერსედესს და სხვა მწარმოებლების ავტომობილებს.

უცნაური და სასაცილო საგზაო ნიშნები

ადამიანების დაჟინებულ მოთხოვნას, გახადონ საკუთარი და გარშემომყოფთა ცხოვრება უსაფრთხო და კომფორტული, ხშირად ერთი შეხედვით კრეატიულ და ორიგინალურ, მაგრამ ამავე დროს სულელურ და სასაცილო შედეგებამდე მივყავართ.

მთვრალი ხალხის
გადასასვლელი

დინოზავრების
გადასასვლელი



სულელი ქალების
ქუჩა

არ იცურაოთ დაჭყეტილი
თვალებით

შესაძლებელია
გადაიფრინოს
მფრინავმა ცხენმა

ფრთხილად! ადამიანები!

რატომ უნდა ავიღოთ შვებულება და დავისვენოთ

XXI საუკუნეში, როცა ადამიანს განსაკუთრებით სტრესულ ვითარებაში უწევს მუშაობა, აუცილებელია შვებულების სწორად გატარება, სადაც ერთმანეთთან იქნება შერწყმული დასვენება, რელაქსაცია, გართობა, ფიზიკური და სულიერი წონასწორობის აღდგენა, ახლის შეცნობა და სხვა.

მთელი წლის განმავლობაში ადამიანი აკეთებს რუტინულ, ჩვეულებრივ, ყოველდღიურ საქმეებს: გაიღვიძა, ისაუზმა, წავიდა სამსახურში, იმუშავა, მოვიდა სამსახურიდან, ივახშმა, დაწვა დასაძინებლად, - და ასე ყოველდღე. ეს ნუსხა, უმნიშვნელო ცვლილებებს თუ არ ჩავთვლით, ძირითადად ერთი და იგივეა. იქმნება ერთფეროვნების განცდა, რომელიც მოწყენილობაში, მოგვიანებით კი დეპრესიაში გადაიზრდება. შედეგად ვიღებთ უბედურ, ცხოვრებით დაუკმაყოფილებელ ადამიანებს. ეს ყველაფერი თავიდან რომ ავიცილოთ, ჩვენს ცხოვრებაში უნდა შევიტანოთ მრავალფეროვნება: მეგობრებთან შეხვედრა, კინოში, ბუნების წიაღში სიარული და, რა თქმა უნდა, სათანადოდ გამოვიყენოთ შვებულება, რომელიც მთელი წლის განმავლობაში დახარჯული სასიცოცხლო ძალების აღდგენაში გვეხმარება. სწორედ შვებულებას შეუძლია, გვაჩუქოს უამრავი სასიამოვნო შთაბეჭდილება, დაგვმუხტოს ენერგიით მომავალი წლისთვის, გაგვიუმჯობესოს სიცოცხლის ხარისხი. დასვენება ახირება კი არა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, აუცილებელი რამაა.

ფიზიკურად მომუშავე ადამიანისთვის საუკეთესო დასვენებად ყოველთვის ითვლებოდა ძილი. ძილში კუნთები დუნდება და აღდგება. ინტელექტუალური შრომით და-

კავებული ადამიანისთვის ძალების აღდგენა გაცილებით რთულია. გონებრივი დაღლილობა ისე მწვავედ არ იგრძნობა, როგორც კუნთოვანი. ქრონიკულ დაღლილობასთან ბრძოლა რომ არ მოგვიწიოს, რაც შეიძლება ხშირად უნდა განვტვირთოთ ნერვული სისტემა. საამისოდ, საუკეთესო გზაა ფიზიკური აქტივობა.

შვებულება აუცილებელია, რათა ორგანიზმს მიეცეს შრომითი ყოველდღიურობისგან დასვენების სრული შანსი. ამდენად, თუ შვებულებაში გასვლა გადაწყვიტეთ, ეცადეთ, ყველა საქმე გადააბაროთ სხვას, მოდუნდით და თავს სრულფასოვანი დასვენების უფლება მიეცით.

გარდა ამისა, არ შეიძლება, მთელი შვებულება გავატაროთ შინ, ტელევიზორის ეკრანთან, ჟურნალის ფურცვლაში ან ჩვეულებრივ საოჯახო საქმიანობაში. სადმე წასვლა აუცილებელია. გარემო უნდა შევიცვალოთ, თუნდაც ეს იყოს აგარაკი, ზღვა, მთა, ლაშქრობა... ეს აუცილებელია, რათა მომდევნო ერთი წლის განმავლობაში ორგანიზმმა შეძლოს ინფექციასთან, სტრესსა და გადაღლასთან ბრძოლა.

წყარო: www.mkurnali.ge



ლალი აბაშიძე

შსს სსიპ 112-ის ზარის მიმღები

შსს სსიპ - 112
ვაშლიჯვრისა და ნუცუბიძის
მიკროორაიონების დამაკავშირებელი
ავტობანი
ვებ-გვერდი WWW.112.GE
ელ-ფოსტა 112NEWS@112.GE